ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7604774

ნომერი: AR11105119

თარიღი : 19.08.2025

გაცემის თარიღი : 26.08.2025

გაცნობის თარიღი : 26.08.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გერცელ ბააზოვის ქუჩა, N 9ა; ქალაქი თბილისი , ქუჩა ბააზოვი (ყოფილი შუშინის ქუჩა), N 19 , შუშინის ქუჩა N19-ის მიმდებარე ტერიტორია, მირზა შაფის ქუჩა N12ა ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მირზა შაფი , N 12ა-ს მიმდ. ; ქალაქი თბილისი , მირზა- შაფის ქუჩა ; ქალაქი თბილისი , გერცელ ბააზოვის ქუჩა, N13-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა შუშინის , N 11-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჟუჟუნაშვილი პ/ნ 01030002628
- თბილისი დ.აღმაშენებლის გამზ. N 88

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 05 დეკემბრის №1016387 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 05 დეკემბრის №1016387 გადაწყვეტილებით სასტუმრო აპარტამენტების აშენების მიზნით დამტკიცებული იქნა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.

2015 წლის 09 თებერვლის № 1722678 ბრძანებით შევიდა ცვლილება 2013 წლის 05 დეკემბრის №1016387 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითა - 1628 მ2, საკადასტრო კოდი დაფიქსირდა- #01.18.04.018.066;
2023 წლის 29 დეკემბრის № 6826965 ბრძანებით შევიდა ცვლილება 2013 წლის 05 დეკემბრის №1016387 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, მიწის ნაკვეთის ნამატი ფართის პოტენციალის გამოყენების გარეშე. კერძოდ: დაფიქსირდა ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი 01.18.04.018.094; ფართობი 3157 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი №892023191384; რეგისტრაციის თარიღი: 01/11/2023წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი N892023191384; რეგისტრაციის თარიღი 03/11/2023წ.);
2024 წლის 22 ნოემბრის № 7297165 ბრძანებით შევიდა ცვლილება 2013 წლის 05 დეკემბრის №1016387 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 დეკემბრის №6826965 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდაშემდეგი რედაქციით:
„1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 05 დეკემბრის №1016387 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაფიქსირდეს ახალი საკადასტრო კოდი 01.18.04.018.094; ფართობი 3157 კვ.მ, საკადასტრო გეგმა (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი №892023191384; მომზადების თარიღი 01/11/2023წ) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი N892023191384; მომზადების თარიღი 03/11/2023წ.), ნამატი მიწის ნაკვეთის სამშენებლო პოტენციალის ნაწილობრივ გამოყენების, კერძოდ: წინამდებარე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ფარგლებში სამშენებლოდ განვითარებისთვის მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტის (კ-1) ასათვისებელი ფართის არაუმეტეს 1165.00 კვ.მ.-ის, ხოლო განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ასათვისებელი ფართის არაუმეტეს 3470.00 კვ.მ.-ის გამოყენების პირობით“;
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 19 აგვისტოს №AR11105119 განცხადებით მომართა მოქ. გიორგი ჟუჟუნაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2013 წლის 05 დეკემბრის №1016387 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ №01.18.04.018.008 კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (123,00 კვ.მ) დამატება.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 2013 წლის 05 დეკემბრის №1016387 დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 05 დეკემბრის №1016387 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში კერძოდ: დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი№ 01.18.04.018.008; ფართობი 123.00 კვ.მ, და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი №882025957347; მომზადების თარიღი 19/08/2025წ.)
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2013 წლის 05 დეკემბრის №1016387 ბრძანებით დამკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან და 2024 წლის 22 ნოემბრის № 7297165 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ.თბილისი, ჟ.შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

-

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.